ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№119

ქ.თელავი 8 ნოემბერი 2018წ.

ერთი მხრივ ააიპ კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტო, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის მალხაზ ჭრელაშვილის სახით და მეორე მხრივ საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია (ს/კ 406069953), მისი აღმასრულებელი დირექტორის ილია ოქრომელიძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი" „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე, „მიმწოდებლისაგან" სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ფარგლებში ააიპ „კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტო"-ს 5 ნოემბრის N75 ბრძანების საფუძველზე „ელექტრონული ჯავშნის სისტემები-პირდაპირი გაყიდვების გაზრდის შესაძლებლობა", სატრენინგო მომსახურება, შემდგომში – „შესყიდვის ობიექტი".

სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (თანახმად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქ. კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა). დაფინანსების წყარო – საკუთარი სახსრები.

cpv კოდი 8053000

1.2 მომსახურების მიწოდება მოხდება ხელშეკრულების დადებიდან 2018 წლის 8 დეკემბრამდე.

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების ღირებულებაა 300 (სამასი) ლარი, (ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით).

2.2. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნული ვალუტით.

2.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ანგარიშ-ფაქტურა/მიღება-ჩაბარების აქტი.

2.4. ანაზღაურება მოხდება ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან) 10 კალენდარულ დღეში.

მუხლი 3. ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურება იქნება ხარისხიანი.

მუხლი 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 „შესყიდვის ობიექტი", ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

4.2 „შესყიდვის ობიექტის" (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

გ) არ აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" მიწოდებული მომსახურების ღირებულება, თუ მისი ხარისხი არ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს.

5.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) გადაუხადოს „მიმწოდებელს" გაწული მომსახურების ღირებულება;

ბ) მიიღოს გაწეული მომსახურება;

გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს მოსთხოვოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება.

5.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) გადასცეს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

6.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.2 პროცენტის ოდენობით.

6.4 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა (ფორს-მაჟორი).

7.2 მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე, ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მის ვადამდე შეწყვეტამდე.

8.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

ა) „მიმწოდებელი" არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) „მიმწოდებლის" მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) „მიმწოდებლის" ქონებას დაედო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს „მიმწოდებლის" რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. სხვა პირობები

11.1 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

ააიპ „კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტო“
მის: საქართველო, ქ. თელავი, ერეკლე II გამზირი №16.
საიდენტიფიკაციო კოდი 231262665

აღმასრულებელი დირექტორი
მალხაზ ჭრელაშვილი

ხელმოწერა
ბ.ა.

მიმწოდებელი:
საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია
ს/კ 406069953
ილია ოქრომელიძე
სს „თიბისი ბანკი“
GE02TB7489436020100003
ხელმოწერა

მიღება - ჩაბარების აქტი №1-119

ქ. თელავი 10 ნოემბერი 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერმა, ერთის მხრივ ააიპ ,,კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტო", წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის მალხაზ ჭრელაშვილის სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი") და მეორეს მხრივ საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, ილია ოქრომელიძე (შემდგომში ,,მიმწოდებელი") ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2018 წლის 8 ნოემბრის N119 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელმა მიაწოდა და შემსყიდველმა მიიღო 300 (სამასი) ლარის ღირებულების მომსახურება, კერძოდ მოახდინა სატრენინგო მომსახურება.

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლიარად, რომლის სიზუსტესაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

მომსახურება მიიღო
ააიპ ,,კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტო
აღმასრულებელი დირექტორი
მალხაზ ჭრელაშვილი

მომსახურება ჩააბარა
საქართველოს ეკოტურიზმის
ასოციაციის დირექტორი
ილია ოქრომელიძე